



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 77

2015 წლის 25 აგვისტო

ქ. დუშეთი

### დიზელის საწვავის გამარტივებული წესით შესყიდვაზე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ზაფხულის ძლიერი წვიმების შედეგად ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში დაზიანდა სოფელ ფხუნდავში მისასვლელი საავტომობილო გზა, გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში კიტოხი - ფასანაურის საავტომობილო გზა და უკანაფშავის ადმინისტრაციულ ერთეულში შუაფხო - უკანაფშავის საავტომობილო გზა, რომელთა სწრაფი რეაბილიტაცია, სასიცოცხლოდ აუცილებელია მოსახლეობისათვის.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა საავტომობილო გზების გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭიროა განხორციელდეს 1 365 (ერთი ათას სამას სამოცდახუთი) ლარის სადიზელო საწვავის შეძენა.

იმის გათვალისწინებით, რომ ძლიერი წვიმების შედეგად შექმნილია მძიმე ვითარება და მათ უმოკლეს ვადებში აღმოფხვრას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის, შექმნილ ვითარებას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აფასებს, როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს თანხმობას ძლიერი წვიმის შედეგების სალიკვიდაციოდ სახელმწიფო შესყიდვა განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

## გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს 1 365 (ერთი ათას სამას სამოცდახუთი) ლარის სადიზელო საწვავის შეძენა მოახდინოს გამარტივებული შესყიდვის წესით.
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი